ხაბარდა და ლოტტო ქუთაისში

ქუთაისის ჭორიკანაობა

(1860 წელი)

3 ივნისს ამა წლისას, ქუთაისში მივიღეთ ივნისის წიგნი „ცისკრისა“ და მაშინვე წავიკითხეთ უფ. მოლაყბის სტატია „ხაბარდა�ა“. ამ წაკითხვას ანდამატის ქვის ძალა ჰქონდა ყველაზედ. საკმაო იყო, რომ ერთს წაეკითხა. რაღაცა ბედზედ პირველმა წამკითხველმა იმავე საღამოს გამოაცხადა შეკრებულებაში „ხაბარდას“ საგანი. ვისაც კი მოუდის „ცისკარი“, იმავე ღამეს წაიკითხეს, მაგრამ ვისაც არ გამოუწერია წრეულს „ცისკარი“, არც ის დარჩა პირდაღებული. არ იყო იმისთანა „ცისკრის“ გამომწერი, რომ ორს ან სამს არ ეთხოვა მისთვის „ცისკარი“: „ხაბარდა რომ წერია, ის მათხოვეო“. მრავალმა იცნო თავისი თავი მეთუთუნეს და ხუროს ცოლებში.

აქ, ქუთაისში, ხაბარდა დიდ მოდაშია. შესანიშნავია, რომ ეს ქალაქი ასრულებს პარიჟის ბძანებებს მოდების ნაწილზედ (ყველამ იცის, რომ პარიჟიდგან გამოდის ახალი მოდები). მაგრამ როდესაც ის ბრძანება გამოიცვლება, მაშინ კი არ დაყობა პარიჟს ნებაზედ. ასე რომ, ქუთაისში შეიძლება, რომ კაცმა ნახოს ყოველი ხნის ტანისამოსი, ძველი და ახალი. ნათქვამია, რომ ვინც კანონს დასდებს, მან დასჯაც უნდა დასდვას იმაზედ, ვინც იმ კანონს არ აასრულებსო. ეს იმაზე ვთქვი, რომ პარიჟი რადგან მოდების კანონებს სდებს, დასჯაც უნდა დასდვას მის აუსრულებლობისათვის. პარიჟში რომ ხაბარდა შემოიღეს, აქ მაშინვე უცფათ გაიკეთეს ხაბარდა და ეხლა, როდესაც პარიჟში ძალიან ცოტას აცვია ხაბარდა, აქ უფრო და უფრო განიერებს იკეთებენ. სჯობდა, რომ ეს მოდა სულ არ შემოეღოთ, მაგრამ ეხლა პარიჟმა შეიტყო ზარალი ამა მოდისა და როდესაც იქ გარდააგდეს, ყველა ჟურნალებმა აქეს ეს გარდაგდება ხაბარდისა. ისინი ამბონდნენ მაშინ, რომ დიდი ხანია დრო იყო ამ მოდის გარდაგდებისაო. აქ უშველებელ რიცხვი იყიდება, დღითი დღე უფრო და უფრო გასავალი აქვთ იმ მავთულებს. ყოველ ფოჩტის დღეს აქ მოდის რამოდენიმე ასი არშინი ხაბარდა გასაყიდავათ. მოდის გარდა ცოტა შემატება კი არ იქნება ხაბარდის გარდაგდება! რა არის ეს ფოლადების მავთულები. ჯერ თავათ ხაბარდას ფასი აქვს, მერე ხაბარდაზედ ჩასაცვამი კაბა განიერი უნდა იყოს, - ეს ორი. ამასთანავე, აქაური ხაბარდა მე მგონია პრივიდეღიროფანის ფაბრიკაში არ არის გაკეთებული ამიტომაა რომ მალე ტყდება და ამისათვის გამოცვლა უნდა, მალმალე უნდა იყიდოს, ისე უხაბარდოთ არ გაიაროს. გატეხილის ხაბარდის თავები რქებისავით ექნება გამოშვერილი, არც ასე გაივლის, უასლოთ არ შეიძლება სიარული, ამასაც ფასი აქვს, ესეც სამი ზარალი ხაბარდისა. უფ. ჩვენი მოლაყბე უფრო კარგათ მოსთვლის ხაბარდის ზარალს.

ამ ხაბარდას რომ გარდააგდებენ, მე სწორედ იმისთანა თაფლის სამთელს დავანთებ ხატის წინ, რომ ხის სიმსხო იყოს, როგორც ამბობს გოროდნიჩი გოგოლის კომედიაში - „რევიზორი”. ბევრნი ამბობენ, რომ სამადლობელ პარაკლისს გარდავახდევინებთო, ამიტომ რომ ქუთაისში პატარა და ვიწრო სახლებია და ხაბარდას გამო სახლში აღარ უშობენ კაცებს. ამ მოდის გარდაგდება კი არ იამებათ ვაჭრებთ,

ამიტომ რომ ზოგიერთ იმათგანს მაკარიის იარმუკიდგან დაუბარებიათ ათას-ათასობით ხაბარდა. თავის ზარალი ვის ეამება!

ქუთაისი ერთი პატარა ნაწილია ტფილისისა. ამის მსგავსად ქუთაისში არის პატარა ნაწილი ტფილისის „პალე როიალისა“. ამ ნაწილს შეადგენენ მრავალნი იქ და აქ დაფანტული მაღაზინები ევროპიელ ვაჭრებთა. ეს მაღაზიები დღითი-დღე სავსენი არიან ქალებითა, და რადგან აქ მაღაზინებს აკეთებენ ვიწრო-ვიწროს, სულ გაჭედილნი არიან მათი კაბებითა. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ აქ ორი ან სამი მაღაზინები ერთად შეაერთონ, არა საქონელის დასატევისათვის, - მყიდველებისათვის. ქ. ტფილისის „პალე როიალში“ რომ საქმეებია, აქაც ბევრი არიან იმისთანები. აქ ძალიან ბევრნი არიან მეთუთუნეს ცოლის მსგავსნი, არც ხუროს ცოლის მსგავსებშია აქ დასაკლისი.

ძალიან გამაგრებულათ ბუდობს აქ ერთი ძველი მოდა: ლოტტო. აქაურ ქალებს არ შეუძლიან ერთი ღამე გაატარონ ისე, რომ ლოტტო არ ითამაშონ. ეს საშინლათ თავის შესაწყენი თამაშობა შეაქცევთ მათ, ორს, სამს და ხან და ხან ოთხის საათის განმავლობაში. გასაკვირველია, რომ მათ არ შეაწყენს თავს. თუ ვინმეს გნებავთ ამ თამაშობით თავის შეწყენა იგრძნოთ, მეოთხედი საათი ითამაშე და მგონია თქვენ დღეში თვალის დასანახავათაც შეგზარდეთ. ეს თამაშობა ქალებისათვის და პრეფერანსი კაცებისათვის არიან აქ უპირველესნი თამაშობანი, მაგრამ აქ ლაპარაკი ჩამოვარდა ლოტტოზედ. მართალია რომ ლოტტო ისე საშინლად ჯიბეს არ ათხელებს როგორც მორა-ანტიკი, რომელსაც მოდა აღარ სწყალობს და მის მაგიერათ წყალობს ფრანცუზულს მორალს, მაგრამ ჯიბის მაგიერათ თვალებს ავნებს. საძაგლად ავნებს ეს თამაში მათ, ვინც ძალიან მხიარულნი არიან. თუკი ვინმემ დაილაპარაკა ან გაიცინა, მაშინვე ისმის ”აა! შენი ჭირიმე, განიმეორეთ უკანასკნელი ნომერი, ბძანეთ, ბძანეთ“. ეს ორი ან სამი საათი ასე უსაუბროთ გატარებული ძალიან ასიამოვნებთ ქალებს. ეს ნომერი რომ ამბო გავაკეთო, ანტერნო, ან მოვიგო, ძალიან ავნებენ ქალებს. არ შეიძლება რომ თამაშობაში ადგილი არ გამოიცვალონ, ვითომ ადგილიდან არის მოგება და წაგება. ყოველმხარედგან ისმის: „აურიეთ“, „აურიეთ“; ამას მოუმატეთ; „ტრიცატ პიატ“, „სოროკ ვოსემ“ და აი ლოტტო!

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u>

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელს სავანის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ნინო გულიაშვილმა.**

12 აპრილი, 2020 წელი
#დარჩისახლში